ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 55
23/09/2020

55-08-4-202009231750

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 30 სექტემბერს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N91 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი:მაია გიორგაძე

1.2.,,ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ„ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20.11.2017 წლის N92 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი:მაია გიორგაძე

1.3.საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ანგარიში ახალი კორონა ვირუსის COVID-19 წინააღმდეგ გაწეული საქმიანობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი:ნატო ჯიბუტი

1.4.დაბა ჩოხატაურში ნიკო მარის ქ. #1-ში მდებარე 1609.00 კვ.მ. არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.22.687) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი:ვალერი ყაჭეიშვილი

1.5.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბლაციხის საჯარო სკოლისათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ.დაბლაციხეში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 1458.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.14.23.025), 5 წლის (ვადით), უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.6.დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. #2-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 252.10 კვ.მ. ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.072.01.500) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.7.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გიორგაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა